საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასტრალური კულტი

ასტრალური კულტი (ბერძნ. astēr – ვარსკვლავი), ცისა და ციურ სხეულთა გაღმერთება, მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების ერთობლიობა. ა. კ. სისტემური სახით რელიგიის განვითარების გვიანდ. საფეხურზე ჩამოყალიბდა. მის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა მზის (სოლარული) კულტი, რ-საც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ძვ. მსოფლიოს ხალხთა რელიგიაში (შუმერული უთუ, აქადური შამაში, ეგვიპტური რა და სხვ.); ამ კულტმა, როგორც ნათელი საწყისის გამოხატულებამ, გადამწყვეტი როლი ითამაშა ძვ. დუალისტური ფილოსოფიისა და რელიგიის აღმოცენების პროცესში (მაგ., ზარათუშტრას მოძღვრება). როგორც სიკეთის განზოგადებული სახე, ის უპირისპირდება ბოროტს, ბნელს. სოლარული კულტის ძირითადი პრინციპი კეთილის, ნათლისა და მართლის შესახებ მოგვიანებით განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქრისტეს ბუნებაში და საერთოდ ქრისტ. მოძღვრებაში. ა. კ-ის საწყისი დაფარულია ასტრალურ მითოსში, რ-იც აღმოცენდა და განვითარდა სოლარულ რწმენებთან ერთად და საფუძვლად დაედო მოგვიანებით ჩამოყალიბებულ რთულ კოსმოგონიურ სისტემებს, ასტრონომიას, კალენდარს და ა. შ. ცისა და ციური სხეულების გაღმერთების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს შუმერისა და ბაბილონის ასტრალური რელიგია. ბაბილონის რელიგიისა და მეცნ. გავლენა განიცადა ძვ. მსოფლიოს მრავალმა ხალხმა, კერძოდ ბერძნებმა, რომაელებმა, მცირე აზიისა და კავკასიის უძველესმა მოსახლეობამ, მაგრამ ღვთაებათა ასტრალური მნიშვნელობა ყველგან თანაბრად არ გამოვლენილა. შუამდინარეთში ეს მომენტი აქტიურადაა გამოხატული, მაშინ როცა სხვა რელიგიებში (ბერძნული, კავკასიის ხალხების) იგი ნაკლებად იგრძნობა და სისტემური თვალსაზრისითაც არ არის სრულყოფილი. ამ რელიგიების მრწამსი მთლიანად ასტრალურ წარმოდგენებზე არ არის დამყარებული, თუმცა ზოგი კერძო ღვთაება გაიგივებულია რომელიმე ციურ სხეულთან.

ქართველთა ასტრალურ წარმოდგენებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცას. ცა იყო ციურ სხეულთა სამყარო, ქვეყნიერების სახურავი. მას „ოთხი კუთხე“ ანუ ოთხი ძირითადი საორიენტაციო წერტილი ჰქონდა, რ-ებიც მზის ოთხი, დიამეტრული მდგომარეობით იყო მინიშნებული. ესენია აღმოსავლეთი, სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი, ე. ი. ქვეყნიერების ოთხი მხარე. ეს მხარეები ამავე დროს აღწერდნენ მზის გზას ხილულ ცაზე, ასევე მის ღამეულ მოგზაურობას სამყაროს გარემომცველ, პირველქმნილ წყლებზე. ცა მრგვალი იყო (ბორბალი, ცარგვალი) და უწყვეტად ბრუნავდა ცალმხრივ, წაღმა. მისი უკუღმა ან „რისხვით“ მობრუნება უბედურებას მოასწავებდა. ცის ოთხი, დიამეტრულად განლაგებული წერტილის შეერთებით წარმოიქმნებოდა საკოორდინაციო ჯვარი, რ-იც უძველესი და უწმინდესი ემბლემაა ქართველთა შორის. მოგვიანებით იგი დამკვიდრდა როგორც ქრისტეს ნიშანი. ასევე ფართოდ ყოფილა გავრცელებული მუდმივი ბრუნვისა და უწყვეტი მოძრაობის სიმბოლო – სვასტიკა. ცას ჰქონდა კარი (ცისკარი), რ-იც მზის ამოსვლამდე იღებოდა. მის გახსნას კი უსწრებდა რიჟრაჟი, რიბი-რაბო, ალიონი, ე. ი. ცის აღმ. კიდის შეფერადება (რ-იც შეიძლება შევადაროთ ბერძენთა მშვენიერ, ვარდისფერთითებიან ქალღვთაება ეოსს-ალიონს) და ცისკრის ვარსკვლავის, იმავე განთიადის ვარსკვლავის, ამოსვლა. ცარგვალი გადაკვეთილი იყო „ირმის ნახტომით“, რ-იც მსოფლიოში „ზისცვარის“ (რძისგზის) სახელითაა ცნობილი, რადგან ბერძნული მითოსის თანახმად, იგი ქალღვთაება ჰერას რძის წვეთებია. ქართულ სახელწოდებას „ირმის ნახტომს“ საფუძვლად უდევს თქმულება, რ-ის მიხედვით ერთმანეთს შეჯიბრებიან ხარი და ირემი, ვინ უფრო სწრაფად გადაირბენდა ცას. სწრაფი ირემი შეეცადა ერთი ნახტომით გადავლებოდა სივრცეს, მაგრამ მოწყდა და დაიღუპა, ცაზე მხოლოდ მისი ნაკვალევი დარჩა. დინჯმა ხარმა კი ნელი ნაბიჯით გადაიარა ცარგვალი (ცის თაღი). ციურ თანავარსკვლავედთაგან ქართველთა შორის განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ე. წ. „გუთანი“, რ-საც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხი „დიდი დათვის“ სახელით იცნობს (შუმერში მას „ურემს“, „ეტლს“ უწოდებდნენ). ცის ობიექტთა სახელწოდებები მიგვანიშნებენ, რომ ცა ქართველთა წინაპრების მუდმივი დაკვირვების საგანი ყოფილა. ირემთან დაკავშირებული მითოსი ძველია (ადრესამიწათმოქმედო ხანა) და ალბათ სახელწ. „ირმის ნახტომი“ ასევე ძველ დროს უნდა გაჩენილიყო. გუთანი კი, როგორც კულტურის შედარებით ახ. ელემენტი, უფრო გვიან უნდა მოხვედრილიყო ცაზე. არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ირმისა და ხარის შეჯიბრება ამ უკანასკნელის სამეურნეო მნიშვნელობის შეფასების ანარეკლია. ხარის გამარჯვება ირემზე სიმბოლურად აღნიშნავს სამიწათმოქმედო, „გუთნის“ მეურნეობის (ხარი), ე. ი. კულტურის გამარჯვებას ველურ ბუნებაზე (ირემი). ამ გარდაქმნის კოსმოსური ანაბეჭდი „ირმის ნახტომის“ სახელით დარჩენილა ცაზე.

ხალხ. ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია უძველესი, ორიგინ. ასტრალური მითოსის ფრაგმენტები, რ-ებიც უდიდეს ციურ სხეულებს – მზეს და მთვარეს – დედად და შვილად, და-ძმად, ცოლ-ქმრად მიიჩნევენ. დანარჩენი ძვ. რელიგიებისაგან განსხვავებით, აქ მზე ყოველთვის ქალურ საწყისს განასახიერებს. ქალღვთაება მზე ღმერთთან და კვირიასთან ერთად არის ღვთაებათა უმაღლეს ტრიადაში. ზოგჯერ მზე ფრინველის სახითაც ჩნდება.

ერთი ლექსის მიხედვით იგი „ჩაღმა ჩამავალი ფრინველია“, რ-იც ჩასვლის შემდეგ ბუდეზე ჯდება, სადაც „ოქროს კვერცხი“ და „მარგალიტის ჭუჭული“ ჰყავს.

ფოლკლორული და ეთნოგრ. მონაცემების საწინააღმდეგოდ არქეოლ. მასალაში ნათლად იკვეთება ნაყოფიერების მამრი ღვთაება, რ-იც ასევე მზიურ ძალებს განასახიერებს, მაგრამ თავად მზის განსახიერება არ უნდა იყოს. არქეოლ. მასალაში არც მზის ქალი ღვთაება ჩანს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველთა უძველესი რელიგიური მრწამსი არ ყალიბდებოდა ასტრალურ იდეათა გავლენით, იგი ემყარებოდა ნაყოფიერების ყოვლისმომცველ პრინციპს, რ-იც სქესთა დაპირისპირებით იყო გამოხატული, მოიცავდა მთელ ხილულ სამყაროს (მამრობითი ცა, მდედრობითი მიწა). ამ იდეების ასტრალიზაცია, ისიც ნაწილობრივი, შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო. მზე წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც მრგვალი სხეული, მისი სიმბოლოები იყო კვირისთავი, ბორბალი და სხვა სახის წრიული ემბლემები. ბორბალი, მზის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სიმბოლო, მოგვიანებით, საერთოდ ცისა და ბედის აღმნიშვნელად იქცა. ამიტომ მბრუნავი, მცხუნვარე მზის მოძრაობას განიხილავდნენ როგორც გორვას. ამიტომ მბრუნავი, მცხუნვარი მზის სიმბოლო ქართველთა შორის მრავალფრთიანი სვასტიკა, ე. წ. „ბორჯღალა“ იყო, რ-იც ზუსტად გამოხატავდა მზის უწყვეტ ბრუნვით სვლას აღმ-იდან დას-კენ. დღის მზე ცოცხალთა მზეა და ცოცხალთა ქვეყანას „სამზეო ეწოდება, ხოლო ჩამავალი მზე მკვდართა მზეა და თავის ფერდაკარგულ, ძალაგამოცლილ სხივებს ჰფენს სულეთს, მიცვალებულთა ლანდებით დასახლ. მხარეს. მზის საპირისპიროდ, ხალხ. ზეპირსიტყვიერების ძეგლებში მთვარე მამრობითი ძალის სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ ყოველგვარი დეტალური, ინდივიდ. მინიშნების გარეშე მოიხსენიებენ ხოლმე. საერთოდ მზესთან შედარებით, მისი სახე ერთობ მკრთალად გამოიყურება. მთვარის დამოუკიდებელი კულტი შედარებით სუსტად ჩანს ეთონგრ. და არქეოლ. მასალებში, არ შემონახულა მთვარის ღვთაების სახელი, მაგრამ დროის ანგარიში და სამეურნეო საქმიანობის ვადების დადგენა მთვარის ფაზების მიხედვით ჩვენში ძალიან გავრცელებული ყოფილა. ქალის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი ცისკრის ვარსკვლავი (დალი, დილა), რ-საც ბევრი რამ ჰქონდა საერთო შუმერულ, სემიტურ, მცირეაზიურ და ეგეოსურ ღვთაებებთან, ნაყოფიერებისა და ბუნების დიდ დედებთან (ინანა, იშთარი, ასტრატე, კიბელე, აფროდიტე, ვენუსი). იგი არის ხორციელი სიყვარულის, მიწის ნაყოფიერების, მცენარეთა და ნადირთა მფარველი. ამასთანავე აქვს ნათლად გამოკვეთილი ასტრალური მნიშვნელობა. მას განასახიერებს პლანეტა ვენერა. საბოლოოდ ამ არქაულ ხალხ. იდეათა გარკვეული ნაწილი თავს იყრის ღვთისმშობლის გარშემო, რამაც განაპირობა მისი უდიდესი პოპულარობა ქართველთა შორის. ასევე ციური ნათლის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი ღვთაებები, „ჯვრები“ („ხატები“), რ-ებიც ერთმანეთის მოდე-მოძმეებად მიაჩნდათ. ისინი ციური ნათლის სახით გადადიოდნენ ცაზე და სალოცავებში ესტუმრებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ეს წარმოდგენა საკმაოდ ძველი უნდა იყოს, რადგან ნათესაობის პრინციპზე დამყარებული სურათი, რ-იც აქ არის დახატული საზ-ბის არქაულ მრწამსს ასახავს.

ქართველთა ასტრალურ წარმოდგენებში თავისი ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდა მიკუთვნებული ვარსკვლავებს. ისინი ერთმანეთის და-ძმად ითვლებოდენენ, ხოლო მათი მშობლები იყვნენ მზე და მთვარე. ხილულ ცაზე მიმობნეული ვარსკვლავები ადამიანთა სულებს შეესაბამებოდნენ. ადამიანთა ბედ-იღბალს სულეთში, მკვდართა ქვეყანაში წერენ ღვთაებები თუ დემონები, ბედის მწერლები (მწერლები, წერა-მწერლები), მაგრამ, როგორც ჩანს, რელიგიურ-კოსმოგონიური აზრის განვითარების ასტრალურ საფეხურზე საიქიოზე წარმოდგენები დაუკავშირდა ცის სამყაროსა და იქ განლაგებულ ძალებს. გაჩნდა წარმოდგენა ადამიანისა და სანთლის იგივეობის შესახებ, ხშირად გმირებს თან დაჰყვებოდათ ანთებული სანთელი, როგორც მათი რჩეული ბედის ნიშანი. მიწიერი ცეცხლი, სანთელი, რწმენათა სხვა რიგში ჩანაცვლებულია ციური ცეცხლით, სინათლით, ვარსკვლავით. ყალიბდება წარმოდგენა ბედის ვარსკვლავის შესახებ. ვარსკვლავთა მეტ-ნაკლები სხივოსნობა ხალხის თვალში გამოხატავდა ადამიანთა წინასწარ განჩინებული ბედის უთანაბრობას, ადამიანის ადგილს „კარგისა“ და „ცუდის“ ვერტიკალურ სკალაზე. ადამიანის ცუდი ბედის უმაღლესი გამოხატულება იყო „უბედურება“, ე. ი. ბედის არქონა, რაც უვარსკვლავობას ანუ ბედის ვარსკვლავის საერთოდ არ ქონას გულისხმობს. როგორც ჩანს, ხალხის აზრით არსებობდა კატეგორია ადამიანებისა, რ-თაც საერთოდ არ გააჩნდათ ბედი ანუ ასტრალური მნიშვნელობით ცაზე არ არსებობდა მათი „ბედის ვარსკვლავი“. ვარსკვლავის „მოწყვეტა“ ანუ მეტეორის ვარდნა ნიშნავდა იმ პირის სიკვდილს, ვისი ვარსკვლავიც „მოწყდა“.

ასტრალურმა წარმოდგენებმა, რელიგიისაგან განსხვავებით, ფართო ასპარეზი ჰპოვა ხალხ. კოსმოგონიაში, სადაც ციური სამყარო ცხოვრების ხით და საკოორდინაციო ჯვრით აგებულ ქვეყნიერების მოდელში ზესკნელს შეესაბამება.

ლიტ.: ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1); Б а р д а в е л и д з е В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

ირ. სურგულაძე